გაზეთის ფასი

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიქოვანის და ჭიჭინაძის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


ევდოქსია იოთამის ასული, მარიამ ალექსის ასული და აზნაური სოლომონ ანდრიას ძე კვალიაშვილები გულითადის მწუხარებით აცნობებენ რა გარდაცვალებასა პირველი ქმრისასა, მეორე მამისასა და უკანასკნელი ძმისა თვისისა ალექსი ანდრიას ძე კვალიაშვილისასა, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ კვირას, 18-ს ოქტომბრისას განსასვენებლად მიცვალებულისა სობოროს ქუჩიდამ გორის სამების ეკკლესიაში.

ტფილისი, 17 ოქტომბერი

ლოღიკა, თითქო ბაქს რასმე ემალება, სადღაც გაექცა, სადღაც დაეკარგა ადამიანსა. ღრმად დაკვირვება არ არის საჭირო, კაცმა დაინახოს, რომ ადამიანის ჭკუას რაღაც გაუტყდა, ბუნებური მართულები მოეშალა, რაღაც სადღე ან მოჭშვებია, ანუ უფრო მეტად წასჭერია, რაღაც სოლი ამოვარდნია და ძირით თხემამდე თავი და ბოლო დაჭბნევია. კაცს ეხლანდელ დროში ვერა გაუგია-რა, ვერა გამოურკვევია-რა. ხედვით ერთსა ჰხედავს, სმენით სულ სხვა ესმის. არის ერთი არეულობა.

იპარვენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა?

აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულ-მტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულ-მტკივნეულობა?

ჰღალატობენ საქმეს, ჰღალატობენ ერთმანერთსა ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულობა?

სხვის ნაკლს, სხვის უბედურობას თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარულად სთვლიან კაცთ-მოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად სხვის ნაკლის და უბედურობის გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთ-მოყვარეობა?

სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე?

კაცს სამარცხვინო ბოძზედ ტყუილ-უბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგვენ, არ ჰთაკილობენ და იძახიან-კი,—ადამიანის ღირსება, ადამიანობა ხელ-შეუხებელია, სათაყვანებელიაო და გამკითხავი არავინ არის: სად ტყუილ-უბრალოდ ადამიანის თავზე ლაფის დასხმა და სად ხელ-შეუხებლობა ადამიანის ღირსებისა?

ათასს ამისთანას ჩამოგითვლით, საცა თქმა საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება, არ ეთანხმება. ყველაფერი ეს ცარიელის სახელით გადის და სახრავს-კი არავინ დაგიდევთ. ფიცი სწამთ და ბოლო-კი არავის აკვირვებს. თქმა ერთია და ქმნა სხვა. ნუ თუ ამას არ ეთქმის, რომ ლოღიკა დაკარგულია, ხელიდამ წასულია, სადღაც ბარდებშია განაბული!...

ეს ყოფა და ამბავი დიდი ჭირია. ამ ჭირს კაცთა კერძო ცხოვრების ერთმანერთობაში ადამიანი კიდევ როგორც იქმნებოდა, ვაითა და ვაგლახით აიტანდა, გაუძლვებოდა. ვიდრე ქვეყანაზე კაცია. ბოროტიც არის და ბოროტი ხომ იმითია მარტო სულდგმული, რომ თქმა ერთი აქვს და ქმნა სხვა. უამისოდ იგი ერთს დღესაც ვერ გაიჭაჭანებდა კაცთა შორის, ერთს დღესაც ვერ გააბამდა თავის სამაცდურო ბადესა კაცთა საჭერად. თუმცა ესეა, მაგრამ ეს ბოროტი, ეს ჭირი ასე თუ ისე ადვილად მოსანელებელია, ადვილად სახდელია, როცა შინაობაში, ერთმანერთობაში ცალკე კერძო კაცი მოგვივლენს ხოლმე.

სულ სხვაა და დიდი და მეტისმეტი უბედურებაა, როცა ეს ბოროტი, ეს ჭირი გზას გაიხსნის, მოედანს მოიპოვებს იქ, სადაც თქმა და ქმნა ერთი უნდა იყოს, სადაც ჭეშმარიტება უნდა ჭეშმარიტობდეს, მართალი ჰმართლობდეს, კეთილი ჰკეთილობდეს და პატიოსნება ჰპატიოსნებდეს, სადაც ხმა ერისაა და მაშასადამე ღვთისაცა. ამისთანა „წმიდა წმიდათა“ ლიტერატურაა, საცა ჭკვათა-მყოფელი, უკეთესი, თავანკარა ნაწილი ერისა უნდა მეტყველებდეს აშკარად, უფერუმარილოდ, უტყუილოდ და უხვანჯოდ. ლიტერატურას სხვათა შორის ერთი შვილი ჰყავს, რომელიც დღეს ყველა სხვა შვილებზე უფრო გაძლიერებულია, უფრო გავლენიანია. ამ შვილს „ჟურნალ-გაზეთობას“ ეძახიან. ამ ჟურნალ-გაზეთობაზე, რომელიც სხვა არა არის-რა გარდა ყოველ დღიურის ცხოვრების სარკისა, ერი აჭდევს ხოლმე თავის ავ-კარგიანობასა დღითი-დღემდე.

აი სავაგლახო ის არის, როცა ზემოხსენებული ჭირი აქ, ამ ჟურნალ-გაზეთობაშიაც დაიბუდება, როცა აქ თქმა და ქმნა ერთმანერთის განუყრელნი ძმ-ძმანი არ არიან. მაგრამ რა თქმა და რა ქმნა! დღევანდელ ჟურნალ-გაზეთობას სხვა რა სჭირს კარგი, რომ ეგა სჭირდეს და თქმასა და ქმნას ერთმანერთს არ აშორებდეს და ერთმანერთს არ უპირისპირებდე'ს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემაძრწუნებელი ზნე, რომ დღეს ჟურნალ-გაზეთობაში არ დაბუდებულიყოს, ოღონდ, ავად თუ კარგად, ჟურნალ-გაზეთობასთან მოსათავსებელი იყოს და ასე თუ ისე მოსახმარებელი.

გამოცინცვლა რისამე გნებავთ ვისგანმე, იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც მზაა სამსახურისათვის. სახელის გატეხა გინდათ ვისიმე, რამ სიგძეთაც გნებავთ დაგრიხეთ ბაწარი ჭორებისა და იპოვით იმისთანა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც სიხარულით დაგითმობთ ადგილსა და თავს მოიწონებს კიდეც ლიბერალობითა. მაშ... ყველას ჰპენტავს და სწეწავს, — ლიბერალობა არ არის, მა რა ეშმაკია!.. ჯავრის ამოყრა გინდათ ვისიმე, შესთხზეთ ერთი სამარცხვინო ამბავი თქვენს გამჯავრებელზედ, მოაყარეთ პილპილი ცილის-წამებისა, მარილი ლაზათიანის გინებისა და გათავებულია საქმე. არიან იმისთანა გაზეთები, რომელნიც არამც თუ ხელ-აღპყრობით მიგიღებენ, როცა მიუტანთ ამისთანა განძსა დასაბეჭდად, არამედ თვით მოგნახვენ და თავს შემოგევლებიან, ოღონდ ხელიდამ არ წაუვიდეთ თქვენ მიერ შეთითხნილი ლანძღვა-გინება.

ჭირთა ჭირი ეს არის, რომ აღარც მკითხველებსა აქვთ ხალისი და გბილი უკეთესის კითხვისათვის. შეაჩვიეს ყური ამისთანა უწმაწურს ქარაფშუტობას და ცუღლუტობას და ყოველივე ჭკუის გასამრჯელო, გრძნობის ამამაღლებელი მოიძულეს, მოიწყინეს, თითქო სიტყვა ადამიანისა სამურველი იყოს, რომ მარტო ყური ჰფხანოს და ჭკუას, გონებას, სულსა და გულს არ მიეკაროს არას გზით. დღეს სიკეთეს თუ სიავეს მწერლობისას მარტო ამ საწყაოთი-ღა სწყვენ. ვაიც ამაშია და ვაგლახიც დღევანდელის დღისა.

ძნელია, როცა სახელმძღვანელო დედა-აზრებს ფეხ-ქვეშედამ მიწა გამოეცლება; ძნელია, როცა თქმასა და ქმნას შუა ხიდი ჩატყდება. აი მაგალითი ამისთანა ყოფისა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩვენი საუბარი და რომელიც ერთი მრავალთაგანია. კითხულობთ ჟურნალ-გაზეთებს და გიკვირთ,—რაზედ შემოსწყრომია მწერლობა ლოღიკასაო? სად მიჰმალვია სახელმძღვანელო დედა-აზრი, რომ ესე არახუნებს უთავ-ბოლოდაო? აი რაშია საქმე.

ერთი რუსის მწერალია, რომლის სახელიც ბევრისათვის უცნობია და, სწორედ რომ ესთქვათ, არც-კი დიდად საცნობელია. ამ მწერალის სახელი ა. გორშენევია. ამას ბევრი რაღაცები საწვრილმანო უწერია სხვა-და-სხვა გაზეთებში და ამის ნაწერები აუღია და პატრონის დაუკითხავად გადაუბეჭდია გაზეთს „Судебная Газета“-ს. გორშენევსაც აუღია და უჩივლია სამართალში ამ გაზეთის რედაქტორზედ, ჩემი საკუთრება მიითვისაო, და საზღაურად ფასი მოითხოვა, რაცა ჰღირს ჩემი ნაწერები, დამნაშავემ მომცესო. სამართალს შეუწყნარებია თხოვნა გორშენევისა და საზღაური დაუდვია „Су-

# ფელეტონი

## ქართველთა შორის

ერთად-ერთი სახსარი.—ვაჭრების მოჯამაგირენი.—სასაცილო თავაზიანობა.—კახეთისა და ქიზიყის არხები.—ახალ-გვარი ოცნება.—„ჩინოლიკი“, „ლევიზორი“ და „პარტაკოლი“.

ჩივიან და ტირიან ჩვენი ვაჭრები,—გასავალი აღარა აქვს საქონელსაო, გაჭირდა ლუკმა პურის შოვნაო. ჰაი, გიდი, რა დრო წაგვივიდა ხელიდამ, ‹ვაენობა›!.. ვისხედით ჩვენთვის ხელგაუნძრეველად, მაგრამ ფული-კი ჩეჩქივით გვეყარა დახლშიაო.

მართლაც-და ბევრი მალაყები-კი იცის ამ დალოცვილმა ქამთა ვითარებამ. ხან ისე დაგაბერტყავს ქანდიკეთილით სავსე ტომარასა, რომ სულ „აღარ მინდას“ გაძახებინებს, და ხან-კი გულზე ხელს გაცემინებს—ვაი, რომ ვერც ის ვიგდე, ვერც ამაში გავხდი რასმეო.

შეფერხდა ჩვენში ვაჭრობა, და მისი მიმდევნი კიდე ისეთი მოუმზადებელნი გამოდგნენ ცხოვრების ცვალებადობისათვის, რომ დახვედრით-კი დაჰხვდნენ, მაგრამ ვაი იმ დახვედრას—წელი ველარ აუწევნიათ. ჩვენი ვაჭარი კაცი ხომ ისეთია, რომ ვაჭრობაში თუ, თორემ სხვაში არაფრად გამოდგება—ჩხირსაც ვერ გადააბრუნებს. მერე, ვაჭრობაც არის და ვაჭრობაც. ამასაც, როგორც ყველა სხვა საქმეს, თავისი თაბაუთი აქვს. ჩვენებური ვაჭრობა მარტო აღებ-მიცემობაზე-კი არ არის აშენებული, როგორც უნდა იყოს, არა, აქ დიდი ადგილი უჭირავს ცარცვა-გლეჯვას. კარგი „კუპეწი“ ის არის, ვინც კარგა, ხერხიანად, ბარაქიანად პირში ჩალას გამოაელებს თავის მუშტარს. ეს არის უმთავრესი ფარ-ხმალი ჩვენის ვაჭრისა. ვისაც ამაში ნაკლები მოხერხებულობა აქვს, იმან სრულიადაც რომ არ მოჰკიდოს ხელი აღებ-მიცემობას, უფრო ბევრს მოიგებს.

ამ უნარზე აზდილი, ჩვენი ვაჭარი მარტო ჩვენში თუ დაიწყებს ეგრედწოდებულს აღებ-მიცემობას, თორემ სხვაგან, სადაც ჯანჯალი და მუშტრის მოტყუება სირცხვილად ჩაითვლება, იქ ჩვენს ვაჭარზე ყისმათიც ხელს იღებს, ბედიც, შნოც, უნარიც და კიდევ ბევრი სხვაცა.

ის გარემოება, რომ ჩვენი „კუპეწი“ სხვა საქმეში ვერ გამოდგება, და აგრეთვე ისა, რომ სხვაგან ვერ ივაჭრებს, თუ არ ჩვენშივე, ჰო—ეს ორი გარემოებაა მიზეზი, რომ ვინც ამ ოცის წლის წინად ჩვენში ვაჭრობდა, დღესაცა ვაჭრობს აქვე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ მუშტარი ბუზივით ეხვეოდა და დღეს-კი ბზობის ყვავილივით ათასში ერთხელ თუ გაჩნდება. ამისდა მიუხედავად, ვერც იმას მიჰხვედრია ჩვენი ვაჭარი, რომ საქონელი მაინც გააიეფოს. რაც მამა-პაპას დაუდვია ფასი, დღესაც იმ ზომაზე დგას ჩვენი ვაჭარი და ფეხსაც არ იცვლის. თვით კაი მაღაზიის პატრონი გეტყვით:

— დღეში ერთის თუმნისა ძლივს უნდა ვივაჭრო, რადგან მუშტარი ცოტაა, და ეგეც რო გავაიეფო, მაშინ ხომ ექვსი-შვიდი მანათი უნდა აეიღო, და იქიდამ რა მოგება უნდა ვნახოო!

ეს არის თავი და თავი მოსაზრება ჩვენის ვაჭრისა. ამაზე შორს ვერა სჭრის იმის გონების თვალი. ვერც ვაჭრობას ანებებს თავსა, ამიტომ-რომ რა ჰქნას, საით წავიდეს, რას მოჰკიდოს ხელი,—ვერც ახალი წესი შემოულია ვაჭრობაში, ამიტომ-რომ ნამდვილის აღებ-მიცემობისა იმას არა გაეგება-რა.

მიზეზიც ეს არის, რომ დღეს ტფილისში და სხვა ჩვენებურ ქალაქებში თითქმის ათს მცხოვრებზე ერთი დუქანი მოდის. აქ, რასაკვირველია, კოტრობის მეტი სხვა სახსარი არა არის-რა, და კიდევაცა კოტრდებიან ჩვენი ვაჭრები, მაგრამ რა გამოვიდა—ერთის გაკოტრებულის ადგილზე ორი ახალი ვაჭარი ამოჰყოფს ხოლმე თავსა, რომ შემდეგისათვის ახლა სამი გაკოტრდეს, მერე უფრო მეტი...

**

რა თქმა უნდა, როდესაც ვაჭრობა ასე ფერ-მიხდილია, კარგს ყოფაში ვერც ვაჭრების ნოქარები და სხვა მოჯამაგირენი იქნებიან. წაიკითხავდით ჩვენს გაზეთში მცირე აღწერას მასზედ, თუ რა დღე ადგათ ღვინის სარდაფებში მოსამსახურეთა. რიჟ-რაჟიდამ მოკიდებული მამლის ყიულამდე ფეხზე დგანან აყროლებულს ორმოებში. მათთვის არც ბედნიერი დღეა, არც კვირა, არც უქმე. რაღაც საცოდავ ჯამაგირისათვის თითქმის ჯოჯოხეთის სიმწარე უნდა გამოიარონ, მანამ ჯანი შეჰყვებათ. ერთის სიტყვით,

იმათი საქმე უცხოა,
სამზობლადაცა ძნელია.

და რა სარდაფში მოსამსახურენი გინდათ, ყოველ სავაჭროში ასეთი ამბავი დაგხვდებათ წინა. დუქნისა და მაღაზიის პატრონები სულ იმის დარდში არიან, რომ როგორმე იეფად გამოვიდნენ თითონა და რაც შეიძლება მეტი საქმე მოახვიონ თავზე მოჯამაგირეებს. არ დაგიდევენ არც იმათს წლოვანობას, არც იმათს საჭიროებას; მათი შესვენება და გონივრული დროს-გატარება ხომ აინუნშიაც არ მოუვათ.

მოჯამაგირეთ იციან ესა და იმი-

дебная Газета“-ს რედაქტორისათვის გორმენევის სასარგებლოდ.

აქ როგორც ჰხედავთ, არაფერი ნამუსისა და პატიოსნების წინააღმდეგი არა არის-რა. კაცს, ცუდია თუ კარგი, თავისი ნაამაგარ-ნაშრომი ნაწერები აქვს; ეგ მისი კუთვნილებაა, მისი საკუთრებაა, მერე იმისთანა, რომელსაც დღეს რუსეთში მუქთად არავინ არავის არ უთმობს და ცოტაა თუ ბევრი თავისი ფასი აქვს. ეს საკუთრება მუქთად დაიჩემა მეორემ და პატრონმა ეს მუქთა-მჭამელობა არ დაუთმო და თავისი მოითხოვა. აქ არაფერი უკადრისობა არ შეეწამება პატრონსა. პირ-იქით, ჩვენა გვგონია, რომ პატრონმა ამ შემთხვევაში თვისი მოქალაქური მოვალეობა შეასრულა საზოგადოების წინაშე, რომლის დედა-ბურჯი ის არის, რომ ყველამ თავისი მოიხმაროს და თავისით ირჩინოს თავი და რომლის წინაშე ყველა დავალებულია, რომ ეს წესი ცხოვრებისა არავის არ დაარღვევინოს დაუსჯელად.

ხომ ესეა და ესე უნდა იყოს უფრო იმისთანა გაზეთისათვის, რომელსაც სახელად „სამართლის გაზეთი“ ჰქვიან და თვისის პროგრამმით სამართალს და სამართლიანობას ემსახურება. მაგრამ სახელი ერთია და საჴრავი სხვა ეხლანდელს დროში, როგორც ეტყობა. აქაო და გარშენევმა ეს საქმე დამაწიაო, გაზეთს აულია და ერთი ლაზათიანი, თქვენი მოწონებული ზღაპარი გაუპრტყელებია თავის ფურცლებზედ და ამ ზღაპარაში საწყალი გარშენევი თავიდამ ფეხამდე ლაფში ამოუტანტლავს და სამარცხვინოდ და სასაცილოდ გაუხდია, თუმცა სახელი-კი ნიშნ...ბლივ არ უხსენებია.

ახლა რას იტყვით ამისთანა საქმეზედ, მკითხველო! როგორ გგონიათ: იმ „Судебная Газета“-მ რომ ერთს ნატეხ პურის ქურდობაში სამის დღის მშიერ-მწყურვალი გლახა-დატაკი დაიჭიროს, ხომ ნაცარ-ტუტას აადენს: ეს რა მოხდა, ჯვარს აცვით ქურდი, ჯვარს აცვით!.. აქ-კი დღისნათელზედ თვითონ არა მშიერ-მწყურვალმა ხელ-და-ხელ დაიჩემა სხვის ნაწვავ-ნადაგი, პატრონმა უსასყიდლოდ არ დაანება თვისი კუთვნილება და იმან-კი აიღო და ბოდიშის მაგიერად ჯავრი ამოიყარა. რით? ლანძღვითა და თრევითა? ნუ თუ დროთა ნიშანი არ არის ესეთი თელვა ყოველის ლოღიკისა, დედა-აზრისა, ყოველის ადამიანობისა, ყოველის მართებულობისა და უფლება-მოვალეობისა!..

ეხლაც არ დაგვეთანხმებით, რომ ლოღიკა საძებნელი და საპოვნელი გაუხდა ადამიანსა ცალკედ და მწერლობასა საერთოდ! აბა ეხლა იანგარიშეთ, რამდენი ამისთანა გაზეთია, რომელიც დედა-აზრობით ერთს გვეფიცება და საქმით-კი სულ სხვასა საქმობს. არ შეიძლება, რომ ჩვენ თვითონ არ ვაქეზებდეთ ამისთანა მიმართულებას, თორემ დღეს აქამომდე ამისთანა მწერლობას სული ათჯერ ამოეხდებოდა, რადგანაც, როგორც ჭირიანს, შემოეფანტებოდნენ მკითხველები და მკითხველები იძლევიან მას, ...ითაც მწერლობაც ავად თუ კარგად იკვებება და სულდგმულობს. რაკი ესეა, ბოროტიც ამ მხრით არის გაძლიერებული და ამაშია დღის სავალალოც.

ტ.

# ახალი ამბავი

*** † გორიდამ: დღეს, ამ თთვის 16-ს, ნაშუადღევის ოთხს საათზედ, გორში გარდაიცვალა დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ ალექსი ანდრიას ძე კვალიაშვილი. ვინც იცნობდა განსვენებულსა, ძალიან შეაწუხა იმისმა გარდაცვალებამა. იგი იყო მართალი, მოყვარული თავისის ქვეყნისა და ერისა, პირდაპირი და გამბედავი. გორის მაზრის თავად-აზნაურობას დააკლდა ერთი გულ-მხურვალე, გულ-შემატკივარი და თავ-გამოდებული მოღვაწე. განსვენებული ყოველ კრებაზე რამე საკეთილო აზრს შეიტანდა და საზოგადო ყრილობას გააცხოველებდა ხოლმე. მას გულით უყვარდა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი და მის ავსა და კარგსა მუდამ გაფაციცებით თვალ-ყურსადევნებდა. ამ ბანკის საქმეების გამო ლიტერატურაშიაც ორჯელ-სამჯერ ხმა ამოიღო და საკმაოდ ვრცელი წერილები დასწერა „დროებაში“ და შარშან „თეატრში“.

არც ერთი კეთილი საქმე არ ჩაივლიდა ისე, რომ განსვენებული ცხარედ არ გამოსარჩლებიყო. გარემოება ნებას არ გვაძლევს ვრცლად რამე ვსთქვათ განსვენებულს ალექსიზე, მაგრამ ესეც საკმაოდ ჰხატავს მის ნათელს სულსა. განსვენებულს ასაფლავებენ გორის სამების ეკკლესიის გალავანში ამ თთვის 18-სა, კვირას.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო ქართველო!..

*** ბ-ნ ჩუბინაშვილს ტფილისში გამოუგზავნია თავისი ახალი ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც ამ მოკლე ხანში წიგნის მაღაზიებს დაურიგდება გასასყიდად.

*** 13 ოქტომბრისათვის საქალაქო გამგეობას გამოცხადებული ჰქონდა, რომ ავჭალის ქუჩის ახლო თორმეტი ნაჭერი საქალაქო მიწა უნდა გაიყიდოს საჯარო ვაჭრობითაო. დანიშნულ დღეს 12 საათზე, როგორც ამბობს გაზ. „Кавказъ“-ი, მოვიდნენ მსურველნი. სამ საათზე სულ გათავდა ვაჭრობა. ადგილები გაიყიდა საჟენი 65 კაპეიკიდამ ვიდრე ექვს აბაზამდე.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რადგანაც ბანკის ქარვასლაში მაღაზიები ელექტრონით იქნება განათებული, ამიტომ სამეზობლო შენობათა მაღაზიების პატრონებიც სთხოვენ ბანკის გამგეობას, რომ ამან თავის მაშინიდამ ქუჩის იქით-აქეთაც გაიყვანოს მავთულით ელექტრონის სინათლე. თუ ამაში მორიგდნენ, მაშინ სასახლის ქუჩა მშვენივრად იქნება განათებული. თვით ქარვასლის ფასადიც უნდათ გაალაზათიანონ და შეაკეთონ. ქარვასლის ეზოში ბაღის მოშენებით, რომელიც განუზრახავთ, დასრულდება ამ შენობის გადაკეთება.

*** სომხურ გაზეთ „მშაკში“ დაბეჭდილია წერილი ჩიმიშკიანისა (ძველის სომხურის არტისტისა) რედაქციის მიმართ. წერილში ავტორი ჩივის, რომ ამ ჟამად სომხური სათეატრო დასი არაფერს აკეთებს, არტისტი-ქალი და კაცი დაფანტულან აქა-იქ, სხვა-და-სხვა ქალაქებში და ამ გვარად ის მოქმედი დასი, რომელმაც ქალაქ ტფილისში, სომხურ თეატრს მოუპოვა სახელი, დღეს უქმად ატარებს დროსაო. ავტორი ურჩევს არტისტ ქალებსა და კაცებსა შეიკრიბნენ ტფილისში და სათეატრო ამხანაგობა დააწყონ. ამხანაგობას ბევრი რამ შეუძლიანო. ამ აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს შექსპირი ინგლისში და მოლიერი საფრანგეთში, თავისის ამხანაგობით, და გვიამბობს, თუ როგორი ღვაწლი დასდეს სამშობლო ქვეყნებსა. ამასთან ამბობს, სტამბოლიდამ დაბარებული არტისტები მათ დამბარებლებმა თავისთვის შეინახონო. ემჯობინება ადგილობრივმა არტისტებმა ერთობა შეადგინონ და არწრუნისეულ თეატრში გამართონ წარმოდგენები, რისათვისაც ეხლანდელი მოიჯარადრე ფორკატტი სომხებს კვირაში ერთს დღეს უთმობსო.

*** 19 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს კრებაზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) ბრძანება უმართებულესის სენატისა ქალაქის თავის საჩივარზე, რომელიც შეეხებოდა საგუბერნიო „პრისუტსტვიის“ გარდაწყვეტილებას, თუ რა წესით უნდა შეაწერონ ხარჯი ქონებას, რომელიც გირაოდ შეაქვთ იჯარების აღებაში.

2) მოხსენება გამგეობისა შესახებ 12 ნაჭერის მიწის გაყიდვისა კუკიაში.

3) მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ ქალაქმა თავის ხარჯით იყოლიოს ოთხი ამცრელი ყვავილისა, ტფილისის გუბერნატორის წინადადებით.

4) მოხსენება სამასწავლო კომიტეტისა მასზედ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტს ბახუტოვს დაენიშნოს ლორის-მელიქოვის სტიპენდია.

5) თხოვნა ელისაბედ საყვარელიძისა მასზედ, რომ შესცვალონ დაფასების გადასახადი და დაუბრუნონ გამორთმეული ფული.

6) მოხსენება გამგეობისა და პროექტი საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წესდებისა.

7) აზრი ხმ. ნიკოლაძისა მასზედ, რომ გადაისინჯოს საბჭოს დადგენილება 4 მაისისა 1887 წ. შესახებ საურთიერთო დაზღვევისა.

8) თხოვნა მარიამ ტოროშინისა მასზედ, რომ გაიმიჯნოს და ქვით დაიფინოს პანასის ქუჩა.

9) თხოვნა ვექილოვების ვექილისა, კორჩიბაშევისა, და საჩივარი გამგეობაზე, რომელმაც უარი უთხრა შენობის პროექტის დამტკიცებაზე.

10) თხოვნა ნ. სტეფანოვისა და დ. კირაკოზოვისა მასზედ, რომ შემოიღობონ სახლი კრუზენშტერნის ქუჩაზე.

11) აზრი ნიკოლაძისა შესახებ ტფილისის საჯარო წიგნთ-საცავისა.

12) ოქმები საქალაქო გამსესხებელ კასსის რევიზიისა ივლისს და აგვისტოსი.

13) წინადადება ხმ. კალოუბნელისა მასზედ, რომ აკრძალული იყოს მიხეილის ქუჩაზე გაყიდვა კუბოსი და სუფლავის ქვებისა.

14) თხოვნა ქრისის ჭრელაშვილისა მასზედ, რომ ნაწილი გადასახადისა გადატანილ იქმნას დამხმარებელ თანხაზე.

15) მოხსენება გამგეობისა მასზედ, თუ საიდამ გაიღონ ჯარისთვის სადგურის ხარჯი.

16) პასუხი პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა მაწანწალა ძაღლების გაწყვეტასა და პირუტყვთა თავ-საფარის გამართვაზე.

17) წინადადება ხმ. თავ. ბებუთოვისა მასზედ, რომ გაისინჯოს ჩასავალები მტკვარზე წყალის ამოსაღებად.

*** 14 ოქტომბერს, სასტუმრო „Великобританія“-ში თავ. თარხნიშვილს ყუთიდამ ვიღაცეებმა ამოაცალეს 67 მ. ფული და ერთიც ოქროს ბეჭედი 120 მანეთიანი.

*** 16 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე თავ. ორბელიანის სახლის ეზოში ვიღაცას დაუგდია ახალ-დაბადებული ვაჟიშვილი, რომელიც წაიყვანეს საბებიო ინსტიტუტში.

*** 16 ოქტომბერს, ნიკოლოზის ქუჩაზე, მე-110 № სახლში თავი მოიწამლა ფოსფორით შტაბს-კაპიტანის ცოლმა ნატალია ბლიუმბერგმა, 25 წლისამა.

---

ტომაც რამდენიმე წელიწადია, რაც თვითონ განიზრახეს თავიანთ ბედ-იღბლის შემსუბუქება. სთხოვეს, რამდენჯერმე მიჰმართეს მთავრობას—კვირა-უქმე დღეებში მაინც დრო მოგვეცეს თავისუფალი, რომ ეკკლესიაში ვიაროთო. მართალია, ამითი ძირეულად ვერ გამოაკეთებენ თავიანთს ყოფა-ცხოვრებას, მართალია, აქ შეღავათი სულ ცოტაა,

მოკვდის დრომდის წინის,

მაგრამ დასაწყისად ესეც კი ღვთის წყალობაა, მით უმეტესს, რომ ეხლა თვით მთავრობას შეუწყნარებია მათი თხოვნა და განკარგულება მოუხდენია, რომ ამ მხრით რაიმე ჯეროვანი წესიერება იქმნეს შემოღებულიო.

**

ველის-ციხეში კი იმდენი დღესასწაულები შემოუღიათ, რომ ვერც-კი მოსთვლის კაცი. იქ რამდენიც დღეა, თითქმის იმდენიც უქმეა თურმე. საკვირველი რამ კუთხე ყოფილა ეს ველის-ციხე! იქა სცხოვრობენ ერთად სომხები და ქართველები. სხვაფრივ ყველაფერში მოუხერხებელნი და შეურიგებელნი, ერთში თურმე ძალიან მეგობრულ განწყობილებაში იმყოფებიან ეს ბედნიერი მეზობლები. ეს ერთიც გახლავთ არა რომელიმე საქმე, არამედ უქმობა.

მოგეხსენებათ, საზოგადოდ ქართველსა თუ სომეხს უძმს შრომა, მოქმედება. ამიტომ ველის-ციხელებმა წესად შემოიღეს, რომ ქართვლის დღესასწაული უსიკვდილოდ იუქმონ ქართველებმაცა და სომხებმაც, და სომხის დღესასწაულიც იუქმონ არა მარტო სომხებმა, არამედ ქართველებმაც. დღეს რომ ქართველების დღესასწაული იყოს, ხვალ სომხისა გატყდება, ზეგ ისევ ქართველებისა და ამ გვარად გაუწყვეტლივ მთელი ველის-ციხე გულ-ხელ დაკრეფილი უყურებს თავის საქმეს, რომელიც თითონ თავის თავად არა კეთდება, და მისი მკვიდრნი კიდე, დღესასწაულის გულისთვის,

ყველანი სწორედ იწყობენ
კაზმასა, დამაზოებასა,
დიდსა შეიქმენ იგინი
პურობა-დარბაზობასა.

თითო-ოროლა ჭკვიანმა კაცმა თავისის მეცადინეობით მოაშლევინა თურმე ქართველებს ასეთი პირ-ადებითი უქმობა, მაგრამ სომხები-კი უფრო მტკიცედ ასრულებენ ერთხელ დადებულ პირობას და წყრომის თვალით უყურებენ ქართველებს ამ ღალატისათვის. სასაცილო სურათია, თქვენმა მზემ! ვთქვათ, ქართველებს არ შეეწყვიტათ ასეთი ახირებული პატივის-ცემა სხვა ერის დღესასწაულებისა, ვთქვათ, იმავ ველის-ციხეში დასახლებულიყვნენ ახლა ურიები, მერე თათრები, და კიდევ სხვა სარწმუნოების ერნი,—მაშ ყველას ხომ უნდა ედღესასწაულნათ ერთმანერთის უქმეები. კაი ხათრიანობა და უფრო უკეთესი თავაზიანობა არ იქნებოდა!..

**

მოდი ახლა შენა-და, სადა ასეთი თავისებური ხათრიანობაა, იქ დაასახელე ისეთი დიდი საქმე, როგორიც არის კახეთის არხის განახლება! ყოფილა დრო, როდესაც კახელების მეცადინეობას გაუჭრია და გაუყვანია გრძელი ბარაქიანი არხები ერთის მხრით ალაზნის წყალის გამოსაყენებლად, მეორეს მხრით იორისა. მაშინ თურმე გვალვას მედგრადა ჰხვდებოდა და კიდეც ერეოდა კახელი და ქიზიყელი კაცი. უწვიმობა ვერ აოხრებდა მის მოხნულსა და დათესილსა. სპარსელებისა და თათრების დაუძინებელმა მტრობამ გააოხრა ეს არხები, და მის შემდეგ აგერ რამდენიმე საუკუნე გადის, რაც ჩვენ გვალვას ვერაფრით ვერ შევუშალეთ ხელი, როცა-კი გვეწვევა. არხები-კი დღითი-დღე უფრო-და-უფრო ივსება მიწით, ზოგან სრულიადაც ველარ შეატყობთ, რომ იქ ოდესმე ჩაღვრილიყოს კაცის ოფლი ბუნებასთან საბრძოლად.

ამ ათის წლის წინად ორი მდიდარი ინგლისელი ჩაეიდა კახეთში, ნახა ასე გულ-გრილად მიტოვებული ნაშთი ძველთა ღვაწლისა ქვეყნისადმი და ძალიანაც გაუკვირდა ქართველების მოუხერხებლობა. მართლაცდა ამ ამბავს

ვინც სცნობს, კაცნი ყველანი
ჩვენსა იწყებენ ძაგებას,

და ღირსნიცა ვართ. გვაძაგეს იმ ინგლისელებმაც, მაგრამ შემდეგ ასეთი წინადადება მისცეს ქიზიყელებსა და კახელებს: ჩვენ აღვადგენთ მაგ არხებს მხოლოდ იმ პირობით, რომ ოც დახუთის წლის განმავლობაში გვაძლიოთ მეოთხედი თქვენის შემოსავლისა ხვნა-თესვიდამ, მევენახობა-ბაღოსნობიდამაო.

ხალხი არ დასთანხმდა ამ მძიმე პირობაზე და არხების საქმე დღესაც ხელ-უხლებელი დარჩა. ვისაც ერთხელ მაინც მოუკრავს თვალი კახეთისათვის, იმას ბევრი ჩიჩინი არ უნდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ არხებს იქაურობისათვის. მაგრამ რა გამოვიდა. სად არის თავი, გული, საქმის მოყვარეობა, რომ კახეთის მკვიდრნი ამ დიდებულს საქმეს შეუყვნონ და თავი გამოაბან? სადა მოთავენი ვერ გასძღოლიან რაღაც წიგნთ-საცავს, რაღაც დეპოს, რომელიც მიყრუებულ დუქანს დაამგზავსეს, და კიდევ რაღაც წვრილმანებს,—მოდი შენა და იქ არხებზე იოცნებე!

**

ეხლა ჩვენში უფრო სხვა გვარი ოცნება უჯდებათ ჭკვაში. უმეტესობა დღეს იმის ფიქრშია, რომ როგორმე უზრუნველად დაწვეს რამე სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოპერეტტი „ჰაჯი-მურადი“ ოდესის სცენაზედ.

7-ს ოქტომბერს ოდესის რუსულს თეატრში პირველად წარმოადგინეს რუსული ოპერეტტი „ჰაჯი-მურადი“, რომლის მუსიკა ცნობილს ბ-ნ დეკკერ-შენკს შეუდგენია და ლიბრეტო-კი ბ-ნს ოსტროვსკის. მეორე დღესაც წარმოადგინეს.

„ჰაჯი-მურადის“ შინაარსი მოხსენებული იყო ადრევე თქვენს გაზეთში, მაგრამ მაინც მოკლედ გავიმეორებთ. თვით ბავშვობაშივე ლეკებისაგან მოტაცებული და ტყვედ წაყვანილი, ჰაჯი-მურადი თავის სიჭაბუკის დღეებს ლეკებში ატარებს. იქაურს ცხოვრებას ითვისებს და, წვერ-ულვაში აუკოკრდება თუ არა, კავკასიონზედ სდებს თავსა. ამ მშვენიერს ვაჟს დიდი ხანია გაგიჟებით უყვარს ერთის ქართველ თავადის ქალი, ქეთევანი. ამავე ტურფა ქეთევანს მოუსიდავს ქართველი ახალგაზდა თავადი დურმიშხანი და იმის საცოლოდ არის დანიშნული. მედუქნე სომეხის დავითას და თავის ტოლ-ამხანაგთა დახმარებით, ჰაჯი-მურადი ქეთევანს მოიტაცებს, როცა უკანასკნელი ახალგაზდა ქალებით სოფლის გარედ გასულა, და მიჰყავს ლეკებში, კავკასიის მაღალ მთების გადაღმა. მედუქნე დავითა, რომელსაც ამ სოფელში საცხოვრებლად მხოლოდ ერთი აზრი-და ასულდგმულებს: „Деньги даешь—душа продаешь“ და პირზედ მუდამ აკერია—„მაია დუხან, ტვაია დუხან“,—კარგს გასამრჯელოს იღებს ჰაჯი-მურადისაგან. ამავე დროს გაგეშილ მეძებარს დავითას უნდა გამოიყენოს ეს გარემოება და, რომ გროშებს ბლომად მოუყაროს თავი-თავსა, ქართველებს ატყობინებს ქეთევანის მოტაცებას. ქართველები, ზურაბისა და ქეთევანის საქმროს მეთაურობით, მაშინვე გამოუდგებიან ლეკებს და მთებში გადავლენ.

აქ მდიდარ ბუნების უცხო სურათია გაშლილი: კავკასიის ქედის მაღალი წვერები სქელის ნისლით შეკრული, მირს ზურმუხტის ფერი მდ. ალაზნის გაღმა მხარი, რომლის ბოლოს, მთების ძირში, ოხოლ მარგალიტივით მოკუწნულა ჩვენის ნაცნობის დავითას... დუქანი. ამ დროს, როგორაც მოხდება, რომ ქეთევანი ჩუმად, იდუმალად თავს უშველის, ეპარება ჰაჯი-მურადს და მოდის სამშობლოსაკენ. გზაზედ ხშირად შედგება ეს ქაჯად გადაქცეული ახალგაზდა ქალი და მწარედ მოსთქვამს თავის უბედურებას. ვნახოთ, რამდენსამე ხნის შემდეგ დავითას დუქანს წააწყდება და აქ ჩერქესკა ჩაცმული ქალი უბრძანებს სომეხს—საქართველოში გადამიყვანეო და ფულებს მოგცემო. ქეთევანი სახლში დაბრუნდება.

ჰაჯი-მურადი, ქეთევანის გაქცევის გამო გულ დაკოდილი, გამოუდგება უკან, მაგრამ გზაში ქართველები შეხვდებიან. იმათ ატყუებს—მე ყიზი-მულა ვარო (იმის ძმის სახელია). ქართველებს მოჰყავთ ტყვე და მოკვლას უპირობენ. მაშინ ჰაჯი-მურადი ნამდვილს თავის სახელს და ვინაობას ეტყვის იმათა და სრულიად გამოტყდება ყველაფერში.

უეცრივ გამოვარდება ქეთევანი და უმაწვილ-კაცობას ევედრება, რომ ჰაჯი არ მოჰკლან. მაგდანა, ბებია ქეთევანისა, შეიტყობს თუ არა, რომ ტყვე ჰაჯი-მურადია, მაშინვე სწრაფად გამოაცხადებს, რომ იგი ღვიძლი ძმაა ჩემის ქეთევანისაო და საქმეს ბოლო მიეცემა საერთო სიხარულითა და გაგიჟებულის ლეკურის თამაშით.

როგორც ატყობთ, კომიკური ელემენტი აქ თითქმის სრულიად არ არის.

მთელს ოპერაში, საზოგადოდ, კარგი სამუსიკო ხმები ისმის. მეტის-მეტად მოგვეწონა ის ადგილი, სადაც ვაჟურად ჩაცმული და იარაღში კოხტად ჩასმული ქეთევანი ქართულს ბაათზედ მიმსგავსებულს არიას მღერის თავის ძვირფასს სამშობლო საქართველოზედ. ქართველი მოსწავლე უმაწვილ-კაცობა სიხარულის გრძნობამ მოიცვა. ეს ადგილი სამჯერ გაამეორებინეს.

ორსავე წარმოდგენაზე თეატრი სავსე იყო. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა ეს ოპერეტტი; ყოველი სამკაული—დეკორაცია, ტანთ-საცმელი მეტად მდიდარი და მოხდენილი იყო. ლეკურმა ცუდად ჩაიარა, თუმცა აქაური საზოგადოება მაინც აღტაცებაში მოვიდა.

ქეთევანის როლი დიდის ნიჭიერებით შეასრულა ქ-ნმა ვოლინსკაიამ, აგრეთვე კი სანახავი იყო ბ-ნი კრუჩინინი ჰაჯი-მურადის როლში. ცოტათი ბ-ნმა ოსეტროვმა გადააჭარბა მედუქნე დავითას როლში, მაგრამ მაინც, როგორც ნიჭიერი არტისტი, არ აფუჭებდა თამაშობას. ეს სამნივე მრავალ ჯერ გამოიწვია საზოგადოებამ.

# უცხოეთი

**გერმანია.** სამმართველო წრეებში განზრახვა აქვთ ცვლილება მოახდინონ კანონ-დებულებაში მუშათა დაზღვევის შესახებ. ამ ცვლილებას ძალით დაზღვევა სავალდებულოა არა მარტო საკუთრივ მუშებისათვის, არამედ ყველასათვის, ვინც შრომით ცხოვრობს, მაგალითად, მოსამსახურეთა, დღიურ მუშათა და აფთიაქის შეგირდთათვისაც.

ამას წინად იუწყებოდნენ, რომ ამ ზამთარს პრინცი ვილჰელმი ზოგიერთს საქმეებში იკისრებს იმპერატორის ვილჰელმის მოვალეობას. ეხლა ბერლინის გაზეთები იწერებიან, რომ იმპერატორს კიდევ უფრო შეუმსუბუქებენ შრომასაო. დღემდის მოხუცებული იმპერატორი თვითონ მოისმენდა ხოლმე სამხედრო პირთაგან მოხსენებას. დღეის იქით ამ შრომას იტვირთებს იმპერატორის კაბინეთი. ამ მოხსენებათ იმპერატორს მხოლოდ შემდეგ გადასცემენ შემოკლებით.

პრუსიის მართებლობა ძალიან მოწადინებულია სრულიად გაგერმანიელოს დაპყრობილ პროვინციების მკვიდრნი, რომლებიც დიდს წინააღმდეგობას უწევენ მართებლობის განზრახვას. ელზასელები და დანიელები ძალიან მედგრად იბრძვიან თავიანთ ეროვნობისათვის. მეტად გასაჭირია მართებლობისათვის ბრძოლა შლეზვიგში, რომლის მკვიდრნი კულტურულად ძალიან დაწინაურებულნი არიან და ძლიერი კავშირიცა აქვთ დანიასთან. სხვა-და-სხვა საზოგადოება, მწერლობა დიდს სამსახურს უწევენ ჩრდილო შლეზვიგის მკვიდრთა პრუსიელებთან ბრძოლაში. თუმცა ყველა სკოლები უკვე გაგერმანიელოსო, მაგრამ მკვიდრთ-კი ვერა მოუხერხეს-რა, რადგანაც რამდენადაც უფრო სასტიკად ეპყრობიან მათ, მით უფრო მხნედ იბრძვიანო.

**ოსმალეთი.** ვენის გაზეთებს სწერენ, ვითომ მმართებლობას განუზრახავს უყურადღებოდ დასტოვოს ყოველივე წარდგინება იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ და ბეჯითად იმოქმედოს ბოლგარიის მმართებლობის წინააღმდეგ, ოსმალეთი ორაზროვანს პასუხს იძლევაო. ვენაში იმ აზრისანი არიან, რომ სანამ ქიამილ-ფაშა იქნება დიდ-ვეზირად, ოსმალეთი დღევანდელს თავის მოქმედებას თავს არ დაანებებსო. ოსმალეთმა აცნობა სახელმწიფოებს თავისი აზრი ბოლგარიის შესახებ და მეტს არაფერს მოიმოქმედებსო.

**ბოლგარია.** იწერებიან, ვითომ პრინცი ფერდინანდი ჩუმად წავიდა ნახევარ-ჩითურთ ბუდა-პეშტში, სადაც უნდა ინახულოს თავისი მადიარელი მეგობრები; იქიდამ ბერლინში წავა, რადგანაც ამას ითხოვს ბოლგარიის საქმეთა მსვლელობაო.

გაზეთი „Morning Post“-ი ბოლგარიის არჩევანის გამო ამბობს: ბოლგარიის ერმა დაამტკიცა, რომ სურვილი აქვს მთავრად კობურგის პრინცი დასტოვოსო. გაზეთის აზრით, ზოგიერთნი დარწმუნდებიან, რომ შეუძლებელია ბოლგართა სურვილის წინააღმდეგ მოქმედება, რადგანაც ვინც ბოლგარებს გზაზე გადაელობება, ის მშვიდობიანობას საშიშროებაში ჩააგდებსო.

რუსეთის მმართებლობა არ მოინდომებს საერთო ომიანობა გამოიწვიოს მხოლოდ იმისათვის, რომ ურჩნი ბოლგარნი დასაჯოსო.»

## წვრილი ამბები

— ერთს ძველის მწერლობის მოყვარეს ბერლინში ჰქონია კარგა ბლომად წერილები ჰენრიხ ჰეინესი. ეს წერილები ჯერ არსად არ დაბეჭდილა და ფრიად საინტერესონი არიანო. პატრონი თანხმაა გაჰყიდოს ეს წერილები დასაბეჭდად, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ დაიბეჭდოს მხოლოდ მაშინ, როცა გარდაიცვლებიან ყველა ისინი, ვინც წერილებშია მოხსენებულიო.

— პარმში, იტალიაში, ყოფილა ერთი ფრიად პატივ-საცემი კაცი, რომელსაც ებარა ხოლერით დაზარალებულთათვის შეწირული ფულები. დღეს ეს კაცი დაუპატიმრებიათ, რადგან რევიზიის დროს აღმოსჩენია მხოლოდ 700 ლირი, 80 ათასის ლირის მაგიერ.

— ნიუ-იორკში ერთს აფთიაქხანის პატრონს 20,800 გვარად დაურღვევია კანონი არყის გაყიდვის თაობაზედ აფთიაქში. დამნაშავესათვის გადაუწყვეტიათ ციხე 17 წლის ვადით და ჯარიმა 20,800 დოლლარი (დოლლარი 2 მან. ცოტა მეტია). აფთიაქის პატრონი გაქცეულა.

— რომის პირველ-დასაწყისს საერო საქალებო სკოლების შეგირდები ჰქსოვენ ერთს წყვილს წინდას, რომელიც პ. პპ უნდა მიართვან იუბილეიზე. წინდები ერთის სკოლიდამ მეორეში მიაქვთ და ყველა შეგირდმა, რამდენის წლისაც არის, იმდენი თვალი უნდა ამოიღოს.

— ერთს ქალაქში შიმშილით მომკვდარა 80 წლის ქვრივი. ამ ქვრივს ჰყოლია 104 შვილის-შვილი და ერთი ძმისწული და თავიანთ დიდი-დედა-კი მშიერი მოუკლავთ!

— ბერლინში მოუგონიათ ახალი თავსახური, ანუ მუზარადი ცეცხლ-მქრობელთათვის. მუზარადი ყურებ გარდა ჰფარავს მთელს სახესა და თავსა. პირთან აქვს დატოვებული ადგილი, მაგრამ აქიდამ არა ჰსუნთქავს ჰაერათ ცეცხლის მქრობი. ჰაერი კისრის მხრით შედის ამ მუზარადში კაუჩუკის მილით და გადის პირთან დატანებულის ადგილიდამ და ისეთის სიძლიერით გადის, რომ ბოლს არ უშვებს. ეს მუზარადი უცდიათ და ჩინებული აღმოჩენილა. მთელს დღეს ბოლი დააყენეს სახლში, მაგრამ ამ ბოლმა ვერა დააკლო-რა თურმე ცეცხლის მქრობთა.

— სტამბოლში გარდაცვლილა ერთი მოხუცებული ბერძენი 115 წლისა, გაჭარი, გვარად დიმიტრი ანტიპპა, რომელსაც პარიჟში მიუღია სწავლა და კარგი ნაცნობი ყოფილა საფრანგეთის დიდის რევოლიუციის მოღვაწეთა რობესპიერისა, მარატისა და დანტონისა. ეს ბერძენი მეგობარი ყოფილა აგრეთვე კამილლ დემულენისა.

— ვიღაც პიემონტელებს უმოგზაურნიათ ჩვენში, გაუზომიათ მთები და დაუსკვნიათ, რომ ყაზბეგის მთა სიმაღლით მეორე-კი არ არის, არამედ მეექვსეაო. ის ტბა, რომელიც იალბუზის მთის ფერდობზეა, 8,000 ფუტის სიმაღლეზეა, თოვლის ხაზ ზემოდამ რომ გავზომოთ სიმაღლე იმ ტბისაო.

— ერთს ფილადელფიელს მდიდარს შეუწირნია დიდ-ძალი ფული, რომლითაც უნდა აშენდეს დიდი კოშკი საათითა და შადრევნითა შექსპირის სადიდებლად.

— ამ დღეებში კიოლნის ქალაქში ნამქერი ყოფილა და თან თურმე ჭექა-ქუხილი ისმოდა და ცა ელავდაო.

— ერთს ექიმს საფრანგეთში სრულიად უბრალო წამალი მოუგონია ყელ-ჭირვების წინააღმდეგ. აი ეს წამალი: ავადმყოფს ყოველ ნახევარ საათში უნ-

---

დიდრეს, რომ ან ციდამ ჩამოცვივდეს ოქროს გუდები, ან რაიმე მანქანებით სხვისი საცხოვრებელი შეუმჩნევლად გადმოვიდეს ოცნებიანის ჯიბეში.

ციდამ, მოგეხსენებათ, კარგა ხანია ოქროს გუდები აღარაფის ჩამოსცვივნია, და სხვის საცხოვრებლის დაპატრონებას-კი ფართო გზა ეძლევა. გეხსომებათ ამბავი ერთის დეპუტატისა ქალაქ ბათუმში. კაცი ამოირჩიეს, ჩააბარეს ბათუმის ავი და კარგი. ისიც ჯერ ხანად კარგ-კაცობასა ჩემობდა, მაგრამ მერე მოსწყინდა. ადგა, ბატონებო, ერთს მშვენიერს დღესა და ყლარწანი გაადინა თერთმეტ ათასს მანათსა: ბათუმი წარმატებაში შედის, თან-და-თან უფრო გამდიდრდება, ფულს ბლომად იშოვნის და ვითომ რა დიდი საქმე იქნება, რომ მეც მოვითბო ხელი და ერთი ლაზათიანად ჩავიკოკლოზინო ყელიო... ჩაიკოკლოზინა, მაგრამ გულზე დაადგა... გააბეს მახეში, სტაცეს ხელი და საპატიმროში ამოუყვეს თავი,—

მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი,
ქვისაცა დასალბობნია.

**

მაგრამ „დეპუტანტს“ ვინა ჩივის—რაც უნდა იყოს, კაცია, ქალაქისმიერ ცნობილი, ავიც ბევრი გაუგონია, კარგიც საკმაოდ უნახავს. მასთან იცის, რომ ეხლა ბევრი წარჩინებული კაცი მისდევს ასეთს ხელობას. თითონაც აჰყვა სხვის ფეხის ხმასა. რასაკვირველია, კარგია ქალაქისათვის, რომ შეუტყეს ავ-კაცობა, მაგრამ ისიც ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ ვერ შეემცნიათ, როგორაც ხშირად სხვებზე მოსდით ხოლმე. მაშინ ხომ სხვებსავით ისიც ჭკვიანურად გაკეთდებოდა. სუქანი ლუკმა უზრუნველი ექნებოდა. ერთის სიტყვით, «დეპუტანტს» ბევრი წამახალისებელი მაგალითები ჰქონდა თვალ-წინ და ამ მაგალითებმა წაიტყუილეს ადამიანი....

ამ გლეხობაში საიდამ-ღა გაიდგა ფეხი ამისთანა საქმეებმა? საკვირველი არ არის განა, რომ ცალენჯიხის მეგრელმა გლეხმა თავი მოირევიზოროს და ამითი ეძებოს საზრდო!.. მაგრამ

თავიდგან გითხრობთ ყველასა,
თქვენ სმენად დაემზადენით.

ცალენჯიხში სცხოვრობდა ერთი საწყალი მეგრელი, ნიკო გოსინავა. პატიოსნად იცოდა თავისი ხელობა, ხარაზობა, და სჭამდა ლუკმა პურსა, თუმცა ძალიან მჭლესა, მაგრამ მაინც დაუყვედრებელს და ტკბილსა. მეზობლები იმას ემადლიერებოდნენ, ის მეზობლებს. ყველაფერი კარგა მიდიოდა, რაც შეეფერებოდა სოფლის ყოფა-ცხოვრებას. მაგრამ ბოლოს გოსინავას მოსწყინდა ასეთი უფეროლი ცხოვრება, უნდოდა როგორმე გადიდკაცებულიყო, ხოლო არ იცოდა, რა საშუალებით მოეხერხებინა ასეთი ბედნიერება. ბევრი იფიქრა, ცოტა იფიქრა, ბოლოს გაუელვა თავში ერთმა ბედნიერმა აზრმა: მოდი, თავს მოვირევიზორებ სადმე გლეხობაში და უთუოდ თუ გავხდები რასმე, ამითიო. ასეც მოიქცა, გაჰშორდა თავის სამამაპაპო ცალენჯიხსა, გადიცვა „ჩინოლიკის“ გაცვეთილი ტანისამოსი და მიადგა კარს სოფელ კირცხის მამასახლისსა. დაარაკუნა კარი. მობძანდითო, უთხრეს, და

ყმაც შეგიდა მოკაზმული
მხიარულად, არ პირ-ბნელად.

მე ბაქის მოხელე ვარ და უნდა დაიარო თქვენი სამამასახლისოვო. მამასახლისს, როგორც ყველა სოფლის კაცს, „ჩინოლიკის“ დანახვაზე ცოტა ფერი ეცვალა და ძალიანაც გაუხარდა, როდესაც ნახა, რომ იეფად მორჩა—სულ რაღაც ერთი საჯდომი ცხენი მოსთხოვა გოსინავამ და ერთიც მხლებელი კაცი. მაშინვე მიართვეს „ჩინოლიკს“ ცხენი და აახლეს კაცი.

გოსინავა შეუდგა ახალ საქმეს. გადმოაბრუნა სოფელი—„ლევიზორი“ ვარო. გლეხები ქუდებს იშვლეპდნენ და იბუზებოდნენ გოსინავას წინაშე. ამანაც გამოიყენა დრო და სულ მტუტა აადინა გლეხებს—გადმოუქოთა სახლები, გაუჩხრიკა ამბარები, ქვეშსაგებ-მაფრაშები და საცა-კი ნახა თამბაქო, ყველგან «პარტაკოლებით» ემუქრებოდა, ვინც არ მიაწვდიდა გულის მოსაფხანელ ასიგნაციებს. გახსნეს გლეხებმა თავიანთი მჭვარტლიანი ძონძები და ამოიღეს, რაც-კი სულს იქით ებადებოდათ. ზოგმა მანათიანი მისცა, ზოგმა სამიანი, ზოგმა თუმნიანიც, ოღონდ ნუ დაგვღუპავ და „პარტაკოლს“ ნუ შეგვიყენებო... კაცის გული ქვა არ გახლავთ, და გოსინავამაც არაფის არ შეუყენა ოქმი, ხოლო ფული კი კარგა ბლომად იშოვა. უფრო ბევრს შეიძინებდა, რომ ამ დროს ერთს უბედურებას არ წასწყდომოდა. მაგრამ წააწყდა და აბა რაღას იზამდა...

თურმე ნამდვილი მოხელე ბაქისა შემოვიდა ამავ სამამასახლისოში და მოითხოვა ცხენიცა და კაციც. უთხრეს, რომ სხვა „ლევიზორმა“ წაიყვანა ორივეო. მოხელეს ეუცხოვა, რადგან იქ სხვა მებაქეს ხელი არა ჰქონდა...

შედეგი ცხადია... გოსინავაც გააბეს ისე, როგორც ბათუმის დარბაისელი დეპუტატი; იმანაც ციხეში ამოყო თავი და ამ მოკლე ხანში ქუთაისის ოლქის სასამართლოს წინაშე წარსდგება, როგორც შესაბრალისი მსხვერპლი ჩვენის დროებისა, როდესაც ასე გავრცელებულია ნატვრა იმ გვარის ცხოვრებისა, რომ კაცმა არცა ხნას, არცა თესოს და ღვთის მოწყალება-კი თავ-გადასაყრელი ჰქონდეს. ძალიან დროებაა, თქვენმა მზემ!

სანო

და ამდენით თითო კოვზი მძარი, რომელშიაც ასს ნაწილზედ 5 ნაწილი ქლორი უნდა ერიოს (хлоръ). ამ წამლით ავადმყოფი ორ დღესა და ღამის შემდეგ რჩება. პირველ დღესვე უკეთესობასა გრძნობს და მეორე დღეს სრულიად კარგად ხდება. 100 შემთხვევაში მხოლოდ ხუთჯერ გამტყუნდება ეს წამალი. ეს ექიმი გვარად მერსიეა.

— მეჯამულე ზღვის ახლო კიდევ თურმე ჰყიდიან მონებს ზოგიერთი უკეთური ვაჭრები შემდეგ ფასად: ქალი 10—15 წლამდე ღირს 400—500 ფრანკი, ყმაწვილი 7—11 წლამდე 300—400 ფრ., ქალები 17—22 წლამდე 250—300 ფრ., ყმაწვილი კაცი 15—20 წლამდე 150—250 ფრანკი.

## გასართობი

კარგი წესი ჰქონიათ შემოღებული მარსელში. იქ ცალკე სახლია თურმე გამართული და ამ სახლში აგროვებენ ყველა ნივთებს, რაც-კი რკინის გზებზე ეკარგებათ ვისმე. ნახევარ-წლის შემდეგ ამ ნივთებს, თუ პატრონი არ მოითხოვს, ჰყიდიან და ფული ხაზინაში შედის იმათ დასაჯილდოებლად, ვინც უფრო ერთგული და ბეჯითია რკინის გზის სამსახურში.

**

ვორმსის ერთს სასტუმროში მისულა ველოსიპედით ვიღაც უცნობი კაცი, უვახშმია მადიანად და გამოუძინია ლაზათიანად. მეორე დილით უამბნია სასტუმროს პატრონისათვის ყოველივე გარემოება ველოსიპედისა. სასტუმროს პატრონს კარგად ვერ გაუგია ნაამბობი. უცნობი კაცი გამოსულა გარედ და უთქვამს, აი ეხლავ აგიხსნით, როგორც უნდა ველოსიპედის ხმარებაო. შემჯდარა ზედ, დაპროწიალებულა პატარა ხანს და გაფრენილა საშინელის სისწრაფით. პირ-დაღებული სახლის პატრონი მხოლოდ მაშინ მიხვედრილა, რომ უცნობმა მ ევე ლოსიპედემ დანახარჯი არ გადამიხადაო.

## საგრამმატიკო ესკიზი

### ზოგიერთი მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გამო

(ვუძღვნი ჩვენს პატივცემულ პროფესორს, ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს)

(შემდეგი *)

ეხლა უფრო ნათლად დავანახვებთ მკითხველს, თუ რა რიგად არის შესაძლო ამ დიდ სქემის შემოკლება ხუთს მუხლად.

დააკვირდით სქემას და ჰნახავთ, რომ დაბოლოვება მარტო მესამე პირის ფორმებსა აქვთ—ს, ის, ა,—ესენი არიან ნაცვლად სიტყვებისა: არ-ს, არ-ის, ა (ჩემი-ა). აქედამ ადვილად დაეინახავთ, რომ მეოთხე მუხლი არის მხოლოდ მრავლობითი რიცხვი პირველის მუხლისა, მეცხრე მუხლი—მეშვიდისა, მეხუთე მუხლი—მეორისა, მეექვსე მუხლი—მესამისა.

მერვეს არა აქვს მრავლობითი რიცხვი, რადგანაც თავად მრავლობით რიცხვშია გამოთქმული.

მრავლობით რიცხვის მუხლნი რო გამოვტოვოთ, დაგვრჩება მხოლოდ 5 მუხლი, რომელიც სრულად გაგვაცნობს ქართულის ზმნის მრავალ გვარად ტრიალს სამსა და ოთხში.

აქედან ცხადათა სჩანს, რომ დასაწყისი ცვლილებისა იქმნება პირველი, მეორე და მესამე მუხლი ანუ საერთო სქემის მეორე (II) განყოფილებაში.

რაკი შევიგნებთ პრეფიქსების საერთო სქემას, მაშინ ადვილად შევუდგებით თვით უღვლილებასაც, იმიტომ რომ ეხლა მარტო მეხანიკური შრომა-ღა დაგვჭირდება, სხვა არაფერი: ხაზის მაგივრად ყველგან ჩავუმატებთ პირველ ტემას და ამ გვარად ხელთ გვექნება სრული უღვლილება ქართულის ზმნისა. მაგალითად, «წერა», ჩავუმატოთ ყველა სქემებში, ხაზის მაგივრად, ტემა „წერ“ და გამოვა სრული უღვლილება ამა ზმნისა.

ეხლა ჩვენ შევუდგეთ მთელს მეხანიზმს სხვა-და-სხვა ფორმების წარმოებისას.

ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ნამყო უსრულსა, ნამყო სრულსა და მყობადში იმ გვარივე სამში და ოთხში ტრიალი ექმნება ზმნას, როგორც აწმყოში.

პირველი ტემისაგან სწარმოებენ: მოქმედებითის ხმის აწმყო (ჩვენებითის და პირობითის დახრისა), მდგომარეობითის ხმის აწმყო (ჩვენებითის და პირობითის დახრისა), მოქმედებითის ხმის ნამყო უსრული ჩვენებითის დახრისა, მდგომარეობითის და მოქმედებითის ხმის მყობითი ჩვენებითის დახრისა, აწმყო მოქმედებითის ხმის მიმღეობისა, ნამყო და მყობადი მდგომარეობითის ხმის მიმღეობისა და აქედან ყოველი მდგომარეობითის ხმის რთული ფორმებიც.

კეთებ-ა, ა-კეთე, ი-კეთე, ჰ-კეთ-დ-ი

| Praesens indic. activi: | Praes. conj. activi. |
|---|---|
| ვ-ა-კეთებ. | რო ვ-ა-კეთებ-დე. |
| ვ-ი-კეთებ. | — ვ-ი-კეთებ-დე. |
| ა-კეთებ. | — ა-კეთებ-დე. |
| ი-კეთებ. | — ი-კეთებ-დე. |
| Imperf. ind. activi. | fut. ind. activi. |
| ვ-ა-კეთებ-დი. | — გა-ვ-ა-კეთებ. |
| ვ-ი-კეთებ-დი. | — გა-ვ-ი-კეთებ. |
| ა-კეთებ-დი. | — გა—ა-კეთებ. |
| ი-კეთებ-დი. | — გა—ი-კეთებ. |

Participium praesentis activi:—მაკეთებ-ელი (მ-კეთებ-ელი)

Participium perfecti passivi:—კეთებ-ული (ნა-კეთებ-ი)

Participium futuri passivi:—საკეთებ-ელი (სა-კეთებ-ი)

მეორე ტემისაგან სწარმოებენ: ნამყო უსრული პირობითის დახრისა, ნამყო სრული ჩვენებითის დახრისა, ნამყო უსრულესი პირობით (plusquamperfectum) ჩვენებითის დახრისა, ნამყო უსრულესი პირობითის დახრისა, მდგომარებითი ხმის ნამყო სრული ჩვენებითის დახრისა, მოქმედებითის ხმის მყობადი ჩვენებითის დახრისა...

ა-კეთ-ე, ი-კეთ-ე, ჰ-კეთ-დი.

| Perfectum ind. act: | Imperfectum canj: |
|---|---|
| ვ-ა-კეთ-ე. | რო მე-კეთ-ა |
| ვ-ი-კეთ-ე. | — გე-კეთ-ა |
| ა-კეთ-ე. | — ე-კეთ-ა |
| ი-კეთ-ე. | — |
| Plusquamperf. ind. act. | Plusgn. conj. ast: |
| მი-კეთ-ია(ი+არს), იეს. | რო მე-კეთ-ოს. |
| გი-კეთ-ია, იეს | — გე-კეთ-ოს. |
| უ-კეთ-ია, იეს. | — ე-კეთ-ოს. |
| Fut. conj. act. | Pert. ind. passivr. |
| რო ვ-ა-კეთ-ო | ვი-კეთ-ე (იხმარება |
| — ვ-ი-კეთ-ო | ვე-კეთ-ე (ვჰ-კეთდი), |
| — ა-კეთ-ო | გე-კეთ-ე |
| — ი-კეთ-ო | ი-კეთ-ე |
| — — | მე-კეთ-ე. |

შემდეგ როცა ზმნას აქვს ფორმა ბრძანებითის დახრისა „დ“, მაგალითად როგორც ამ ზმნას «ჰ-კეთ-დი», მაშინ ზოგიერთი ფორმა მდგომარეობითის ხმისა სწარმოებს ამ ფორმისაგან:

ჰ-კეთდ-ი

| Praes. ind. passivi. | Praes conj. passivi- |
|---|---|
| ვ-ჰ-კეთდ-ები | ვ ჰ კეთდ ებ ო-დე |
| ჰ კეთდ-ები | ჰ-კეთდ-ებ ო-დე |
| ჰ-კეთდ ება | ჰ-კეთდ-ებ-ო-დე-ს |
| Imperf. indic. passivi. | Pnrf. iudi passivi |
| ვ ჰ კეთდ-ებ-ო-დი | ვ-ჰ-კეთდ-ი |
| ჰ-კეთდ-ებ-ო-დი | ჰ-კეთდ-ი |
| ჰ-კეთდ-ებ-ო-და. | ჰ-კეთდ-ა |
| | etc. |

Fut. ind. passivi.
გა-ვ-ჰ კეთდ-ები.
გა—ჰ-კეთდ-ები.
გა—ჰ-კეთდ-ება.

ამით ვათავებ ბაასს ზმნის უღვლილების შესახებ. ვრცლად გაცნობა ჩვენის ზმნისა ჯერ-ჯერობით სრულიად შეუძლებელია; ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა თვითეულად ყოველი ზმნა გვექმნება ზედმიწევნით გამოკვლეული. როცა ყველას გავჩხრეკავთ, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვსთქვათ, თუ რამდენი ზმნაა კანონიერი ჩვენს ენაში და რამდენია უკანონო. ჩუბინაშვილის ლექსიკონს გადავავლე თვალი და დავრწმუნდი, რომ რვა მეათედი მაინც ჩვენის ზმნების ექვემდებარება ამ ჩემს წარმოებას.

კოტე დოდაშვილი

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

16 ოქტომბერი

ხარკოვი. სამოსამართლო პალატამ ნაფიცთა მსაჯულთა მონაწილეობით დაიწყო განხილვა სამთო ინჟინერებისა პოდიმოვსკისა და ნესტეროვის საქმისა და აგრეთვე სახელოსნოების ზედამხედველის ანოფრიევისა, რომელთაც ჰბრალდებათ სამსახურში უკანონო მოქმედებათა ჩადენა, რომელსაც მოჰყვა ზარალი ხაზინისა. ბრალდებულნი მსახურობდნენ ლუგინის ქარხანაში და კერძო კაცთა მიერ შეკვეთილს საქმეებს აკეთებდნენ. დამცველი მათი არის პროფესორი სისხლის სამართლის უფლებისა ვლადიმიროვი.

ბომბეი. გენერალი ნურ-მაჰმედი, რომელიც ეიუბ ხანთან ერთად გაიქცა და რომელიც ჰერათს ახლო დაიჭირეს, საჯაროდ იქმნა დასჯილი სიკვდილითა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ოქტომბ.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მიცემისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 8 95 |
| ტამოჟნის კუპონები. . | — » | — » | 178¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 274 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 247¼ |
| კირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა. . . | — » | 99 | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | 99½ | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | 83¾ | — » |

### „ივერიის“ ფოსტა

ახალ-სენაკში, ბ-ნს ი. ნ—მეს გ—ას. უარს ჩვენ არავის ვეუბნებით, თუ კი შევატყევთ, რომ სიმართლეს მისდევს და ჭორებს არ უგდებს ყურსა. სცადეთ.

ოზურგეთში, ბ-ნ ჩ—ია-ს. ჩვენ გვეგონა, რომ ამ წელს სულ დაიბეჭდებოდა თქვენი ეტნოგრაფიული წერილები, მაგრამ როდესაც დამატებაც მოგვ ვიდა, მაშინ ვიანგარიშეთ და კვირაში რომ თითო წერილიცა ვბეჭდოთ, მაინც ნახევარზე მომეტებული სამერმისოდ დაგვრჩება. ამის გამო რედაქციამ არჩია მერმისს შეუდგეს თქვენის შრომის ბეჭდვასა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-3 — . . . | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი . . . . | 13 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხის. | » | » |
| » 2 » | » | » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—ღამის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან. ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

ქართული სალიტერატურო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთსაკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნის კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა.


## საკონტრაგენტო

თავად კ ბებუთოვისა და აბგარ იოანესიანისა,

დაარსებული სხვა-და-სხვა ნაწერებისა და ჟურნალ-გაზეთების გასასყიდლად ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე,

ი ღ ე ბ ს

განცხადებას, რეკლამებს და სხვანი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებზე კამოსაკიდებლად საკონტრ-აგენტოს დროებით კანტორაში, რომელიც იმყოფება ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა. (1—1)

თავადი კ. ბებუთოვისა და აბგარ იოანესიანის

## საგაზეთო სააგენტოში

(დროებითი სადგური სააგენტოსი: ცენტრალური წიგნის მაღაზია, გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა)

მიიღება ხელის მოწერა 1888 წლისათვის

ყოველ დრო-გამოშვებით გამოცემაზედ.

რომელნიც-კი იბეჭდებიან როგორც რუსეთში, აგრეთვე საზღვარგარედ იმ ფასად, რა ფასადაც თვით რედაქცია იღებს. (1—1)

ახლად შექმნილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა . | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისავე . . . | „ | 75 |
| კოკორი, მისავე . . . . | „ | 10 |
| კონა, მისავე . . . . . | „ | 50 |
| ხომლი, მისივე . . . . . | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე . . . . | „ | 40 |
| დედანი, მისავე . . . . . | „ | 30 |
| შალვას თავ-გარდასავალი, გ. დ. ცხვედისა. . . . . | „ | 20 |
| ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა. . . | „ | 30 |
| თხზულებანი ანტონოვისა . | 1 | „ |
| მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა . . . . . . . . | „ | 60 |
| სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა . | „ | 30 |
| ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით . . . . . | 3 | „ |
| მშვიდი სიტყვა . . . . . | „ | 20 |
| ნაკვესი . . . . . . . | „ | 20 |

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და ქუთაისში ჰილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

## დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.


*) იხ. „ივერია“ № 214, 215, 216.

Доз. цен. Тиф. 17 октября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე